LIMITED COMPANY "DEA" GEORGIA 200055992

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მისია

XXIსაუკუნისახალმაინფორმაციულმაკომპიუტერულმატექნოლოგიებმარევოლუციურიზეგავლენამოახდინაარამარტოგანათლებაზე, არმედთვითსახელმწიფოებისპოლიტიკურმოწყობასადასაზოგადოებისდემოკრატიზაციაზეც. განათლებისთანამედროვესისტემისთვისსაჭიროაინოვაციური, ინდივიდუალურიუნარებისგანმავითარებელიინტერაქტიულიტექნოლოგიები, რომლებიცხელსუწყობენანალიტიკურიაზროვნებისფორმირებას. სკოლისმიზანიაისეთისაგანმანათლებლოსივრცისშექმნა, რომელიცუზრუნველყოფსგანათლებული, ინტელექტუალური, ზნეობრივადგანვითარებულიდასოციალურადადაპტირებულიპიროვნებისაღზრდას. განათლებისეროვნულიმიზნებისგათვალისწინებითამამოცანიდანგამომდინარესკოლახელსუწყობსსასწავლოპროცესისყველამონაწილისათვის ( მოსწავლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მშობლები) განვითარებისშესაბამისიპირობებისშექმნას:

–საგანმანათლებლო სივრცის, როგორც მოზარდის პიროვნების სოციალიზაციის ძირითადი ფაქტორის ფორმირებას;

– თითოეული მოსწავლის განვითარებისათვის პირობების შექმნას (ინდივიდუალური მიდგომისა და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური პირობების გამოყენებით);

– მოზარდში გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას;

– საგანმანათლებლო პროცესის პროეცირებას კლასის დონეზე, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;

– მოსწავლეთა საპროექტო - კვლევით საქმიანობაში ჩაბმას;

– აქტიური, კონკურენტუნარიანი პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბებას;

– ქართულ ტრადიციებზე, კულტურასა და ისტორიაზე დაყრდნობით მოსწავლეებში ტოლერანტობისა და ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებას;

– ჯანმრთელობის დაცვითი ტექნოლოგიების გამოყენებასა და ჯანმრთელი თაობის აღზრდას;

– ეკოლოგიური კულტურის ჩამოყალიბებას;

– მოსწავლეებში ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას;

– ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობის გაცნობიერებაში დახმარებას;

სწავლების მთავარიპრინციპია: სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლება, რაც გულისხმობს:

- შეფასების საკუთარი ფორმების შემუშავებას;
- საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაციას;
- საგნობრივი კათედრების ფუნქციების გაძლიერებას;
- მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლას;
- შიდა სასკოლო, რესპუბლიკური და საერთაშორისო პროექტების დანერგვასა და მართვას;
- უცხოური ენების (ინგლისური, რუსული) და სხვა დისციპლინების გაღრმავებული სწავლების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას;
- მოსწავლეთა სოციალიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნას, რაც გაწერილია სკოლის მრავალლიან პროგრამაში